ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 211 (20957) — პარასკევი, 14 სექტემბერი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.



რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქავტორემონტის“ მეთაურ ქარხანაში ცდილობენ მიაღწიონ დედნაყოფიერებას, დანერგონ მუშაობის ახალი სტილი და მეთოდები, განაახლონ ტექნიკა. საწარმოში წლის განვლილ პერიოდში გაცილებით მეტი ავტომანქანა და ძრავა შეაკეთეს, ვიდრე შარშან. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ წლის სახელმწიფო შეკვეთა ასი პროცენტით შეასრულონ.

სურათზე: № 2 მექანიკური საამქროს მჭედელი დურმიშხან ბასილაშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

გივი გუმბარიძე შეხვდა რუსთაველის პროსპექტზე გამართული აქციის მონაწილეებს

11 სექტემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე შეხვედა და ხანგრძლივი საუბარი აქონდა რუსთაველის გამზირზე გამართული, ეგრეთ წოდებული „მოგოსანთა“ აქციის მონაწილეებთან. როგორც აღინიშნა, შეხვედრაზე მყოფ მომჩივნებს მონაწილეობა არ მიუღიათ ამგვარი მოთხოვნებით ადრე გამართულ აქციაში და მათი საკითხები არ განუხილავს სპეციალურ საპარლამენტო კომისიას. აქციის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა მოითხოვა, რომ მათი საქმეების გამოც გამოეტანათ ანალოგიური დასკვნები და გამოსაძიებლად გადაეცათ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ახლადშექმნილი საგამოძიებო ჯგუფისთვის. ზოგმა კი მოითხოვა, რომ საგამოძიებო ორგანოებს დაეჩქარებინათ საქმეთა გამოძიება. შეხვედრის დროს გამოითქვა პრეტენზიები სამართალდაცვითი ორგანოებისა და მათი თანამშრომლების მიმართ.

მომჩივანთა მიერ აღძრული ყველა საკითხი დადებითად გადაწყდა. აქციის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს საკითხების ამგვარი გადაწყვეტით და განაცხადეს, რომ რუსთაველის გამზირზე გამართული მათი აქცია შეწყდება.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვარლამ შადური, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი ჰამლეტ ჭიპაშვილი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პრესცენტრი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პრესცენტრის

განცხადება

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გივი გუმბარიძეს განზრახული აქვს შეხვდეს არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. შეხვედრა გაიმართება 1990 წლის 15 სექტემბერს, 11 საათზე, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომისიაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისია განაგრძობს იმ პოლიტიკურ ბრალდებათა შესწავლას, რომლებიც წაყენებული ჰქონდათ 30-40-იანი წლების პირიდან და 50-იანი წლების დამდეგს კომუნისტებს, პარტიიდან გარიცხვისას.

1990 წლის 1 სექტემბრისათვის კომისიის წინადადებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტიის ხაზით აღადგინეს და რეაბილიტირებულად გამოაცხადეს 437 კაცი.

განვაგრძობთ რეაბილიტირებულ კომუნისტთა სიის გამოქვეყნებას:

ბალოვი ოსმან აბდულა-ოღლი — ახალქალაქის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ინსტრუქტორი, **ადეიშვილი** გედევან-ლარიონის ძე — ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის კოლმეურნე, **ბაბაევი** გიორგი ალექსის ძე — საქართველოს მიწსაკომის მიწათმოქმედების ინსპექტორი, **ალავნელი** ანსატ ოდისეევსის ძე — ფოთის ფიზიზნოის ქარხნის მუშა, **ალფაიძე** ანიმონ ფილიპეს ძე — თბილისის ელექტროტექნიკური ტექნიკუმის მიმართველობის ავტომეურეს ასული — ვანო, **ანანიეა** ანატოლეს სახელობის არტელის ... გეგმის თავმჯდომარე, **ანთია** ... ივანეს ძე — წყალწყახის რაიონის სოფელ ლიის კოლმეურნე, **ბერთაიშვილი** მირიან გრიგოლის ძე — ... ოპერატიული განყოფილების ... ბაკურ ბესლეს ძე — წულიკიანი ... ბარეშუმსახვეი ფაბრიკის დირექტორი, **ბტოიანი** მნაცაკან სარგისის ძე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის სამხედრო სასწავლებლის მასწავლებელი, **ბესიაშვილი** ალექსანდრე ელიოზის ძე — სოფლიერის რაიონის სოფელ ... მეურნეობა „შირაქის“ ... თბილის საწყობის გამგე, **ბასელია** ვასილ სარდიონის ძე — ... ალტუბოს რაიონის სადგურ-... პარტკომის მდივანი, **ბმეიტელაშვილი** პეტრე ეფრემის ძე — ... ქარბარეშუმის“ დირექტორის მოადგილე, **ბობაძე** კლიმენტი ვასილის ძე — არ მუშაობდა (პარტიული პასუხისგებაში მიეცემის მომენტში გარდაცვლილი იყო), **ბადაშვილი** გიორგი გიორგის ... — თბილისის ქალაქლის ... ბრიკის დირექტორი, **ბაიანელი** ვასიფ მაგომედის ... — ახალციხის რაიონული ... ბეჭების რედაქტორი, **ბარიბაშვილი** გიორგი ესტატეს ძე — ... თბილისის ვაგონშემკეთებელი ... ბუხრო, **ბედიანაშვილი** ივანე ... აბრამის ძე — საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ბელოვი** ალექსანდრე ივანეს ძე — ქ. თბილისის საჰაერო თავდაცვის პუნქტის უფროსი, **ბერიაშვილი** ზაქარია ივანეს ძე — გოლოვანოს საკოსნერვო ქარხნის მუშა, **ბანანიშვილი** ნიკოლოზ მიხეილის ძე — ლენტეხის რაიონის ცანარის გეოლოგიურ-საზეგრვი პარტიის მთავარი გეოლოგი, **ბეციაშვილი** არჩილ სპირიდონის ძე — საქართველოს კპ (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივნის თანაშემწე, **ბინაძე** კონსტანტინე ესტატეს ძე — თბილისის ლაქაღაბანების ფაბრიკის დირექტორი, **ბლიაუ** დანიელ მარკოზის ძე — საკავშირო ალკკ ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტის მეორე მდივანი, **ბოკერია** სევერიანე ივანეს ძე — გაერთიანება „საქნავთობის“ სოფლიის რაიონის ნავთობის ბაბურილების ოსტატი, **ბოკუჩავა** ევგენი პეტრეს ძე — მიწათმოქმედი, **ბოლოთაშვილი** ივანე ყარამანის ძე — გორის ხე-ტყის საბურავი ქარხნის მოწყობილობის დამდგმელი, **ბუაჩიძე** ანდრია გრიგოლის ძე — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი, **ბუჯიაშვილი** ივანე გიორგის ძე — თიანეთის რაიონის სოფელ კუპრიანთკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **გაჯიევი** აბდულა აბას-ოღლი, ახალციხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, **გელაძე** სიმონ ანდრიას ძე — თბილისის ორთქმავალშემკეთებელი ქარხნის სანამზადო საამქროს ოსტატი, **გეჯაძე** ალექსანდრე იაკობის ძე — „ჩრამპეოსშენის“ მექანიკოსი, **გვალია** ეპიფანე სტეფანეს ძე — ფუნიკულორის მშენებლობის ინჟინერი, **გოგავა** ალექსანდრე ნიკოლოზის ძე — მუშაობდა ბათუმის სადგურის სავაგონო დეპოში (თანამდებობა არ არის აღნიშნული), **გოგია** დავით პავლეს ძე — ცხაკაიის რაიკოოპკავშირის შემფუთავი, **გოგიჩაიშვილი** გრიგოლ ივანეს ძე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მუშათა კოოპერატივის მოლარე, **გოგოლაშვილი** ნიკოლოზ გალაქტიონის ძე — ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **გოდელაშვილი** ვასილ სტეფანეს ძე — — გორის საქალაქო კოოპერატივის თავმჯდომარე, **გურამიშვილი** ვასილ აბრამის ძე — საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **გუტმანი** პავლე ალექსანდრეს ძე — თბილისის რადიოქარხნის საამქროს უფროსი, **დალაქიშვილი** რაისა ივანეს ასული — საქართველოს კპ (ბ) ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის ინსტრუქტორი, **დემიდოვი** ვლადიმერ სტეფანეს ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ აპარის რედაქციის განყოფილების გამგის მოადგილე, **დოლიძე** გიორგი დიმიტრის ძე — საქართველოს კპ (ბ) თეთრწყაროს რაიკომის მდივანი, **დონაძე** ვასილ ადამის ძე — საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე, **დონდოლაძე** შალვა იორდანეს ძე — სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მუშათა მომარაგების განყოფილების ექსპედიტორი, **დრეიძე** ივანე დავითის ძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი, **დურგლიშვილი** იოსებ გიორგის ძე — სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალი შრომის“ თავმჯდომარე, **ვენცი** ჰენრიხ ჰენრიხის ძე — სტალინგრადის გემთშემკეთებელი ქარხნის მეავტოგენე, **ვილჰ

დღეს ერთობა გვჭირდება,

ეროვნული ფენომენის სწორ გაგებაზე დამყარებული სიმტკიცე, გამჭრიახობა, ერთმანეთის მხარდაჭერა, მიმტევებლობა, მომავლის დიდ რწმენაზე აგებული შეკავშირება

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტის კითხვებს უპასუხებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ნოდარ ჯითანავა

— ტელევიზიით, პრესით შევიტყვეთ, რომ ქ. მოსკოვში საქართველოს და რსფსრ ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ეკონომიკისა და კულტურის სფეროში შემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ ფაქტს?

— მოხდა უდიდესი მნიშვნელობის აქტი ჩვენი რესპუბლიკების ურთიერთობის ისტორიაში. ბორის ელცინმა და გივი გუმბარიძემ, ასევე რუსეთისა და საქართველოს მთავრობათა თავმჯდომარეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავს ორ რესპუბლიკას შორის კულტურისა და ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას.

ცნობილია, რომ რუსეთის უზენაესმა საბჭომ, ასევე ზოგიერთმა სხვა რესპუბლიკამ, თავის ტერიტორიაზე ყველა სამეურნეო ორგანიზაციას. სამინისტროებსა და უწყებებს აუკრძალა სხვა რესპუბლიკების საწარმოებთან პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარება, ვიდრე არ დაიდებოდა რესპუბლიკებს შორის ხელშეკრულებები.

ამ შეზღუდვამ ჩვენც შეგვიქმნა სერიოზული სიძნელეები. შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ რუსეთისა და საქართველოს სახალხო მეურნეობას მრავალმხრივი კავშირები აქვთ. თითქმის 3 მილიარდი მანეთის ნედლეული, მასალები და პროდუქცია შემოგვაქვს ამ რესპუბლიკიდან ყოველწლიურად. ნედლეულის, ასევე მასალების მომწოდებლებთან ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებს დღესაც არა აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები. ამიტომ, დღეს არ ვიცით, რა დონეზე ჩამოყალიბდება რესპუბლიკის მატერიალური წარმოების ბევრი დარგის მომავალი წლის საწარმოო პროგრამა. უფრო თვალსაჩინოდ: რუსეთიდან საქართველოში შემოდის ერთ მილიონ ტონაზე მეტი ცემენტი, ორი მილიონი კუბური მეტრი ხეტყე, 5 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი და ნავთობპროდუქტები და სხვ. ეს არსებითად განაპირობებს საქართველოს სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებას. ასეთ პირობებში აუცილებელი იყო არ გაგვეწყვიტა ჩამოყალიბებული სამეურნეო, საწარმოო კავშირები მომავალი წლისათვის. ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ პროდუქციის ურთიერთმიწოდება მოხდეს 1990 წლის საგეგმო მოცულობების დონეზე. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ხელმოწერა შედგა რუსეთის უზენაესი საბჭოს ოფიციალური ღონისძიებების დარბაზში სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ყველა ელემენტის გამოყენებით და დამტკიცებული რიტუალების სრული დაცვით.

რსფსრ უზენაესმა საბჭომ და მთავრობამ ასეთი სახის ხელშეკრულება პირველად საქართველოსთან დადეს. მინდა აღვნიშნო ბორის ელცინისა და სხვა ხელმძღვანელების სიყვარულით გამთბარი სიტყვები, რომლებიც მათ საქართველოს შესახებ თქვეს ხელშეკრულების გაფორმებისას და ის პატივისცემა, რაც პიროვნულად გივი გუმბარიძის მიმართ გამოხატეს.

რესპუბლიკებს შორის კავშირების შესახებ ხელშეკრულება ქმნის სრულიად ახალი ტიპის ეკონომიკურ საფუძველს მომავალ სუვერენულ სახელმწიფოებს შორის. ამიტომ რესპუბლიკებთან კავშირურთიერთობების (სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურის, ეკონომიკის სფეროში) დამყარებას ჩვენ პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ასეთი ხელშეკრულება უკვე დიდო აზერბაიჯანთან, ყირგიზეთთან.

ხელშეკრულებების მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ. ცნობილია, რომ საქართველოს გაზი მთლიანად შემოაქვს (წელს 6,3 მლრდ. კუბ. მ.) მას ვიღებთ საკავშირო სამინისტროს ლიმიტებით ძირითადად თურქმენეთის საბადოებიდან. ამჟამად თურქმენეთის ხელმძღვანელობა მოითხოვს მხოლოდ პირდაპირ კავშირებზე გასვლას. ჩვენთან შეხვედრისას მათ გაკვეთადეს, რომ ისინი საქართველოს პირდაპირ, უშუამავლოდ მოაწოდებენ გაზს. ამ დროს საჭიროა თურქმენეთთან ხელშეკრულება ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში (კონკრეტულად გაზის მიწოდება) გაფორმდეს. ეს ალბათ, ახლო პერიოდში მოხდება. რადგან გაზზეა ლაპარაკი, ვიტყვი იმასაც, რომ გაზის საჭირო რესურსები მოინახება, მისი ტრანსპორტირება კი გაჭირდება, რამდენადაც დამოკიდებულია გაზსადენის მშენებლობის დამთავრებაზე. იგი ხომ გასულ წელს შეჩერდა. ეს საკითხი ფართო საზოგადოებრიობასთან ერთად უნდა განვიხილოთ და გადავწყვიტოთ. სხვანაირად გაზის მომარაგება შეფერხდება, რაც დამატებით სიძნელეებს გამოიწვევს.

რესპუბლიკებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განახლდება შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, აგრეთვე საწარმოებს შორის არსებული პირდაპირი საწარმოო-ეკონომიკური კავშირები. ვიდრე ახალი, საიმედო პარტნიორი ვერ მოგვიძებნია, ტრადიციულ კავშირებზე უარი არ უნდა ვთქვათ, ეს შეცდომა იქნებოდა. საბაზრო ურთიერთობების მკაცრი კანონები კი შეცდომებს არ გვაპატიებს.

მხარი უნდა დავუჭიროთ ერთობლივი საწარმოების შექმნას (მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში — ხე-ტყის, სხვა საშენი მასალების წარმოების, უზბეკეთში — ბამბის გადამუშავების, ყაზახეთში — მეცხოველეობის პროდუქტებისა და სხვ.). ბევრთან მოინახება საერთო ინტერესები.

აუცილებელია სამეურნეო კადრების აზროვნების, ორიენტაციის შეცვლაც, რომელიც მიმდინარე პროცესების სრულ გაგებას უნდა მოერგოს. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, ასევე სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შემცირდება (ამას გამოიწვევს ნედლეულის, განსაკუთრებით კაპიტალური დაბანდებების არსებითი შემცირება). ამიტომ მათი დატვირთვის უზრუნველსაყოფად საჭიროა ახალი საწარმოო-ეკონომიკური, ორგანიზაციული კავშირები ურთიერთხელსაყრელ საფუძვლებზე სხვა რესპუბლიკებთანაც.

— ბატონო ნოდარ, თქვენს არაერთგზის გამოსვლებში რესპუბლიკის ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას აფასებდით როგორც კრიზისულს. თანაც გამოთქვამდით შიშს იმის გამო, რომ იგი გაღრმავდებოდა. რა ზომებს იღებს მთავრობა, რატომ ვერ შეაჩერა ნეგატიური პროცესები?

— სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა. კრიზისი ეკონომიკაში გაღრმავდა. გზადაგზა ახალმა უარყოფითმა სიმპტომებმა იჩინა თავი. სახალხო მეურნეობის ვერც ერთი დარგი საწარმოო პროგრამის განსაზღვრულ მიჯნებზე ვერ გადის. გაღრმავდა ინფლაცია.

მთავრობის მიერ განხორციელებულმა ზომებმა მხოლოდ შეაყოვნა ზოგიერთი ნეგატიური პროცესის გაღრმავება, ისიც დროებით.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა გარდაუვალია. ისიც უნდა ვთქვა, რომ ამისათვის მზად არა ვართ. არც კადრებით, არც ცოდნით და არც ხალხის მხარდაჭერით. ეს ფაქტორები მომავალ წელს საგანგებოდ იჩენს თავს.

მთავრობა იღებს საჭირო ზომებს, რომ წლის ბოლოს, განსაკუთრებით, მომავალი წლის პირველ ნახევარში უკიდურესად არ დაიძაბოს მდგომარეობა ელექტროენერგიით, ნავთობპროდუქტებით, განსაკუთრებით სურსათით მომარაგების მხრივ. ამ პრობლემის გადაწყვეტა მარტო რესპუბლიკის მთავრობას ორგანიზაციულ ნიჭსა და სწორ პოზიციაზე რიდია დამოკიდებული.

ეკონომიკა ინტეგრირებული სისტემაა. მისი რეგულირება ბევრს ირთულად ეჩვენება. ამიტომ უხვად გვთავაზობენ ნაირ-ნაირ უმწიფარ, მიუღებელ წინადადებებს. არც რესპუბლიკის ეკონომიკური მეცნიერება გვანებივრებს. მისი ზოგიერთი პრეტენზიული წარმომადგენელი გვიკიჟინებს — რადიკალური რეფორმებიაო საჭირო. მაგრამ როგორი? როგორი იქნება შედეგები? ოპონენტებს, სამწუხაროდ, საქმიანი წინადადებები არ გააჩნიათ. ისინი მხოლოდ მოსაზრებებს გამოთქვამენ, თანაც უკიდურესად ზოგადი ფორმებით.

ვაცხადებ: რესპუბლიკაში ალტერნატიულ საწარმოებში მომზადებულია ბევრი კანონპროექტი, რომლებიც ეკონომიკის გაჯანსაღებას ისახავს მიზნად, მაგრამ ისინი მაინც პირველი მიახლოებაა პრობლემასთან. რესპუბლიკის სპეციფიკაზე დაფუძნებული, მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკის აღორძინების პროგრამა დღესაც არა გვაქვს. მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ცალკეული რეკომენდაციები ეკონომიკის გარდაქმნის სურვილს უფრო შეიცავს, ვიდრე მოქმედების სტრატეგიას. მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ანალიზი მარწმუნებს, რომ შეიძლება ეკონომიკის განვითარების უკეთესობისაკენ შემობრუნება. უფრო ვრცლად ამ საკითხებზე უახლოეს პერიოდში ვიტყვი. ისე კი, ვერც ერთი მთავრობა, რაოდენ კომპეტენტურიც უნდა იყოს იგი, საერთო მხარდაჭერის გარეშე, ვერც ერთ ჭკვიანურად გათვლილ პროგრამას ვერ შეასრულებს. ამას ბევრი არ ითვალისწინებს. ისეთი ძლიერი და მასობრივი ორგანიზაცია, როგორიცაა დამოუკიდებელი პროფკავშირები, მთავრობას აფრთხილებს და ემუქრება (ნაცვლად იმისა, რომ მხარი დაგვიჭიროს), თუ მშრომელთა ინტერესებს არ დაიცავთ (თითქოს ეს პროფკავშირების საქმე არ იყოს), გამოიყენებს საერთაშორისო პროფკავშირულ არსენალში არსებულ ყველა ხერხს და საშუალებას, თუნდაც პროტესტის გამოცხადების უკიდურეს ფორმებს. ამას აცხადებს ბატონი პეტრე ჩხეიძე. (გაზეთი „კომუნისტი“, 24 აგვისტო).

თუ ზოგადად ვიტყვით, აი, რა ხდება. ხელმძღვანელი მუშაკების ერთი ნაწილი თავდდებით შრომობს (თუმცა დახარჯული შრომის შედეგი ნაკლებად ჩანს), მეორე კი პირველს აქილიკებს და ამაში, და არა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, ხედავს თავის ძირითად დანიშნულებას და ამით იხანგრძლივებს ხელმძღვანელობაში ყოფნის დროს. აქ გასაკვირი არაფერია, ოდითგანვე ასე იყო.

რაოდენ ადვილი ყოფილა მთავრობის მიმართ ოპოზიციაში ყოფნა?! მაგრამ საკუთარი ხალხის ინტერესების მიმართ ოპოზიციაში ჩადგომა ზნეობრივია?

სახელმწიფო მართვის სისტემაში ყველა რგოლს კონკრეტული ხელმძღვანელი ჰყავს, თავისი ფუნქცია აქვს დაკისრებული. ეს ყველას კარგად როდი ესმის, ამიტომ, ბუნებრივია, ცუდად მუშაობს რგოლიც, მისი ხელმძღვანელიც. მაშინ როგორ დგას ეს უკანასკნელი ეროვნულ პოზიციაზე? სიტყვით? ბევრის არ მჯერა. დღეს საქმეა საჭირო, საქმე. ბევრმა კი სწორედ საქმეები მიუშვა თვითდინებაზე. ამით სარგებლობენ ზოგიერთნი და ხელსაც ითბობენ. საბოლოოდ კი ხალხი ზარალდება. მოვალენი ვართ ეკონომიკური ცხოვრება უკეთესობისაკენ შემოვაბრუნოთ. ჩვენ ეს შეგვიძლია, მაგრამ არა დღეს და არა ხვალ. ესეც უნდა იცოდეს ხალხმა.

— დამოუკიდებელი პროფკავშირების გაზეთ „კაბადონის“ 25 აგვისტოს პუბლიკაციაში „მორევში ფონს არ ეძებენ“ სერიოზული ბრალდებაც წამოგიყენეს. როგორ აფასებთ გაზეთის ამ კრიტიკას? და, კიდევ: რას ფიქრობთ დღეს სესიაზე თქვენს გამოსვლაში დაყენებული საკითხების, დასკვნების შესახებ?

— ისე ვფიქრობ, როგორც სესიაზე ვთქვი. ვთქვი ის, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული (საფუძველი თითოეული სიტყვისა და წინადადებისათვის არსებობს, აზრები შეჯერებულია ფაქტებთან, მოვლენებთან), ამიტომ გამოთქმული მოსაზრებებისათვის მე პასუხს ვაგებ. სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთმა ვერ გაიგო ჩემი გამოსვლის შინაარსი, დაამახინჯა გამოთქმული აზრები, თავისებურად, როგორც ხელს აძლევდა, ისე შეაფასა. ესეც მანევრი აღმოჩნდა — „აღშფოთების“ დროშის აფრიალებით შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი წინასწარ საკმაოდ კვალიფიციურად დამუშავებული „ტაქტიკის“ რეალიზაციისათვის.

დრო ისეა დაწნეხილი, საქმე იმდენია, რომ პრესის ცალკეულ პუბლიკაციებს, ან სხვადასხვა თავყრილობებზე გამოთქმულ ყოველ მოსაზრებას, ბუნებრივია, ვერ გასცემ პასუხს, მაგრამ აშკარად აუცილებლად მიმაჩნია ზოგი რამ ვთქვა.

კამათისას ყველაზე დიდ ცოდვად ითვლება იმ ბინძური ხერხის გამოყენება, როცა სხვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ხელოვნურად ამახინჯებ, რათა საკუთარ „პოზიციას“ მოარგო. ჩემი გამოსვლა გაზეთ „რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა. დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ გაეცნონ მას. ოპოზიციამ ჩემს გამოსვლაში ის „დაიჭირა“, რასაც თურმე ეძებდა, მაგრამ რაც, საერთოდ, აზრად არ მომსვლია და, მით უმეტეს, არ მითქვამს. გთავაზობთ ამ ადგილს ჩემი გამოსვლიდან:

„და კიდევ ერთი, მეტად ფაქიზი პოლიტიკური ნიუანსი, რომელსაც ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სამწუხაროდ, ცოლკეულ წრეებში, არაოფიციალურ შეხვედრებზე, სხვაგანაც გამოჩნდნენ ზოგიერთნი, რომლებსაც სერიოზულად აწუხებთ ეროვნული „პრობლემა“ (თითქოს სხვა პრობლემა საქართველოში არ გვქონდეს) — დღევანდელი მთავრობის თავმჯდომარის მეგრული ნარმოშობის საკითხი. თუმცა ეს მათი მხრივ არასერიოზულობაა, მაგრამ რამდენადაც საკითხი დაისვა, არ შემიძლია არც ერთ დასმულ კითხვას გვერდი ავუარო. მე ვშიშობ, ხომ არ არის ეს გამოძახილი ადრე ჩადენილი უსამართლობისა?“

მივყვეთ აზრების გადმოცემის ლოგიკას: იწყება იმით, რომ გაჩნდა ფაქიზი ნიუანსი, რომელსაც ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. დიახ, სასიცოცხლო მნიშვნელობა — ასე ვთვლი ახლაც. ამიტომ „ნიუანსის“ ახსნა იყო საჭირო, რაც მომდევნო წინადადებაში, ვფიქრობ, გარკვეულად ჩამოყალიბდა (რამდენად სწორია იგი? იკითხავს მკითხველი). ამ წინადადების ყველა სიტყვა იყო გააზრებული, განცდილი, დიდ ტკივილგადალახულიც, კონკრეტული ფაქტების (ინციდენტების) ანალიზზე დაფუძნებული. ფაქტები მე არ შემიქმნია, ინციდენტი (მარნეულის რაიონი მაქვს მხედველობაში) კონკრეტულად ჩემს წინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლის „ლოგიკის“ შედეგად გაჩნდა (როცა მე ოფიციალურად დამაბრალეს „მეგრული ბრაჟკის“, „მეგრული ფრთის“ ჩამოყალიბება). გებრძვიან, ბრალს დებენ იმაში, რაც შენს თვისებებსა და ხასიათში არ არის; უფრო სწორად, გადანაშაულებენ იმაში, რაშიც ყველაზე სწორ, ყველაზე საჭირო პოზიციაზე — ეროვნულ პოზიციაზე მტკიცედ დგახარ. რა, გვერდი ამევლო, ამისათვის? არა, პატიოსანი კაცი, მით უმეტეს ჩემი მდგომარეობისა, ყველა სიტუაციაში (ხელს აძლევს ეს მას თუ არა) გულწრფელი, პრინციპული უნდა იყოს. არის გრძნობები, არის საკითხები, რომლებზეც თამაში დაუშვებელია.

ვაცხადებ: არც ერთ კითხვას, რომელსაც დამისვამენ, არ გავექცევი, შეძლებისდაგვარად, აუცილებლივ ვუპასუხებ. ეს პოზიციაა ჩემი...

მომდევნო წინადადებაში ნიუანსის ავტორებს (მათ სულის ჩამდგმელებსაც) შეფასება მივეცი: „ეს მათ მხრივ არასერიოზულობაა“. ვთქვი და დარწმუნებული ვარ — სწორადაც. აქაც გამოჩნდა ჩემი პოზიცია.

მომდევნო წინადადებაში გამოვთქვი შიში: „ხომ არ არის ეს გამოძახილი ადრე ჩადენილი უსამართლობისა?“ ვგულისხმობდი დიდ უსამართლობას, რომელსაც ორმოცდაათიან წლებში ჰქონდა ადგილი და მის შესახებ მკითხველმა კარგად იცის. რაც შეეხება ხალხის წინაშე თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრას, იგი დროს მივანდოთ.

ახლა გაზეთ „კაბადონის“ მიერ მოწყობილი თავდასხმების, მათი „საფუძვლების“, სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ.

გაზეთის რედაქცია მთავრობის (უპირველეს ყოვლისა, მისი თავმჯდომარის) მიმართ „მეთოდურად“, მიზანმიმართულად აწარმოებს ბრძოლის კამპანიას. სამწუხაროდ, კონსტრუქციული საფუძველი გამოეცალა, ამ „ბრძოლას“. გალაშქრების ხასიათი, ფაქტების ტენდენციურად გაშუქება, ტონი (ე. წ. სიმართლისათვის მებრძოლისა), — ხელს არ შეუწყობს პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციას. 25 აგვისტოს „კაბადონში“ გამოქვეყნებული მასალა „მორევში ფონს არ ეძებენ“ ანგარიშსწორების (არ ვიცი რატომ), პროვოცირებული განხეთქილების, უგუნური, ხელოვნურად დაპირისპირების შექმნის „საუკეთესო“ მაგალითია. მე შესაძლებლობა მქონდა შევხვედროდი (მასალის გამოქვეყნების შემდეგ) რედაქტორს, ავტორებს. ვესაუბრე გულახდილად. შევნუხდი, რომ ისინი მხოლოდ დავალების ბრმა შემსრულებლები აღმოჩნდნენ (ეს მათ პირში ვუთხარი). ვფიქრობ, მათ გამიგეს. აღმოჩნდა, რომ ჩემი გამოსვლის ტექსტი არ წაუკითხავთ და ისე შეთითხნეს „ბრალდებები“ (ღმერთო ჩემო, ასეთი უპასუხისმგებლობა?!). რატომ ჩქარობდნენ? ვინ აჩქარებდათ? ვინ აგულიანებდათ?

ამის შემდეგაც გამოქვეყნდა მასალა „კაბადონში“, რომელიც პიროვნულად ჩემს წინააღმდეგ არის მომართული.

როგორი აზროვნების აპარატი უნდა ჰქონდეს კაცს, რომელიც სერიოზულად ამტკიცებს, თითქოს მთავრობის თავმჯდომარის მიმართ კრიტიკა ავხსენი ჩემი „მეგრული წარმოშობით“ და ამით ჩემი მდგომარეობის განმტკიცებისათვის კუთხური ფრონტი შევქმენი. ეს ხომ აშკარა ცილისწამებაა! პატივცემული ავტორები მაბრალებენ, თითქოს „კუთხური ფაქტორი“ ამოვატივტივეთ, ქართველობის დაყოფის ცდას მიემართე. ეს ისეთი აბსურდია, რომ პასუხის გაცემაც არ ღირს (შეუძლიათ გაიგონ ჩემი ოფიციალური პოზიცია სრულიად საქართველოს ერთიანობის, მისი სიმტკიცის აუცილებლობის შესახებ — გამოსვლები საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე, მთავრობის გაფართოებულ სხდომებზე, პლენუმებზე, ჩემი ინტერვიუ გაზეთ „რესპუბლიკაში“ და სხვ.). დღეს ეროვნული თემით სპეკულაცია პოლიტიკური მრუშობაა. კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი და ვარ ყოველგვარი სპეკულაციისა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართველი კაცის ყველაზე მგრძნობიარე, ეროვნულ სიმეს ვინმე უხეშად შეეხება.

ოპონენტების „აზროვნების მწვერვალად“ ვთვლი ბრალდებას, თითქოს ეს „აქცია“ ჩავატარე იმის შიშით, რომ „არჩევნების რეალობამ მსხვილი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არსებული ხელისუფლების პოლიტიკური მომავალი“, ამიტომ ასპარეზის დატოვება „კარის მიჯახუნების პოლიტიკით“ ვარჩიე. აშკარად გამოაცა წერილის ავტორების მიერ დახლართული პოლიტიკური ინტრიგების წესების „ღრმა ცოდნამ“. ვფიქრობ, რომ წერილის „ავტორები“ ასეთ შორსგამიზნულ „ინტრიგად ბადეში“ მხოლოდ „საზარბაზნე ხორცის“ ფუნქციის შესრულებით გაებნენ. დასანანია! ადამიანურად მე მათ ვუგებ, თუმცა ეს ვითარებას არსებითად არ ცვლის.

ერთი „გამორჩეული“ კითხვაც დამისვეს ავტორებმა: ვის წისქვილზე ვასხამ წყალს?

საქართველოს ბედნიერების, მისი ნათელი მომავლის წისქვილზე! არც მეტი, არც ნაკლები! თუმცა მისი დოლაბი ჯერ კიდევ საჭირო სიჩქარით არ ტრიალებს, წყალი აკლია. მიზეზი ის არის, რომ ქართველებმა მისი „შეკრება“ და საჭირო ძალით ეროვნული წისქვილის ღარში მიშვება ვერა და ვერ ვისწავლეთ.

წერილის ავტორებს ეტყობათ „შეშფოთება“ მეგრული „ფრონტის“ გახსნის გამო. მაგრამ როგორია მათი და მათი თანამესანგრეების „ზურგი“ და პირდაპირი კავშირი „საკომანდო ჯუნტტთან“?.

ვფიქრობ, „ზურგის“ ფუნქციონირების არავითარი საფუძველი არ არსებობს, ხოლო „საკომანდო ჯუნტი“ ნარამარა იცვლის თავის ადგილსამყოფელს. მისი ბევრი მეთვალთვალე კი „კაბადონისა“ და მისი მფარველების წრეში „საიმედო ამხანაგებს“ ეყრდნობა.

ვიმედოვნებ, სულ მალე ავტორები ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, როდესაც მიხვდებიან, თუ ვის წისქვილზე მოინდომეს საკუთარი წყლის მიშვება, როგორ „იდეებს“ და ვისი ხერხებით ნაკურთხ მომავალს ჩამოგვიფვრავს მშობლიური ხალხისათვის ეს წისქვილი.

ბოლოსა და ბოლოს, წყალნი მართლაც წავლენ და ქვიშანი დარჩებიან.

ამისთვისაც ხომ უნდა ვიყოთ მზად?

რაც შეეხება გაზეთ „მამულის“ მეთექვსმეტე ნომერში ბატონ თენგიზ ჯობავას ავტორობით გამოქვეყნებული „ღია წერილის“ ზოგიერთ შეკითხვა-ბრალდებას, ისინი უკვე განხილული პუბლიკაციის იდენტურია და მათ ზემოთ ვუპასუხე. ავტორის (და, როგორც ჩანს, რედაქციის) სურვილს თუ რრევას — მოვინანიო, ვაღიარო შეცდომები, ვერა და ვერ შევასრულებ იმ მარტივი ლოგიკის გამო, რომ ინანიებენ და შეცდომებს აღიარებენ დამნაშავეები.

მწამს, რომ „მამულის“ გამოცდილი რედაქტორი სულ მალე თავად დარწმუნდება საითკენ იყო მიმართული „ღია წერილის“ კრიტიკული ისრები და რაღაც ფორმით იტყვის თავის სათქმელს.

აქვე „კაბადონისა“ და „მამულის“ ერთი „დიპლომატიური სვლის“ შესახებ.

გაზეთებმა კარგად ვერ გათვალეს. მარტივი არითმეტიკული წესებით შეეცადნენ მთავრობის თავმჯდომარე ეროვნულ მოძრაობასთან დაპირისპირებინათ, შეექმნათ აზრი იმის შესახებ, თუ როგორ ანგრევს და შლის „მეგრული წარმოშობის“ თავმჯდომარე ამ მოძრაობის მთლიანობას. ეს მზაკვრული ხერხი გამომდინარეობს ცნობილი ფორმულიდან — ქართველს კარგად ეხერხებაო ქართველის დამარცხება. ეს არ გამოგვადგება: პირადი მოტივების გამო საქართველოს ბედის რთული პოლიტიკური ცხოვრების სასწორზე შეგდება ყველაზე დიდი ღალატია. დღეს ერთობა გვჭირდება, ეროვნული ფენომენის სწორ გაგებაზე დამყარებული სიმტკიცე, გამჭრიახობა, ერთმანეთის მხარდაჭერა, მიმტევებლობა, მომავლის დიდ რწმენაზე აგებული შეკავშირება. დრომ მოგვცა ისტორიული შანსი — საქართველო სწორი გზით წავიდეს. ამისათვის საჭიროა, რომ ერთიანი საქართველოს დროშის ქვეშ მტკიცედ ვიდგეთ.

ეს არის ჩემი პოზიცია, რწმენაც, ცხოვრების აზრიც.

ყველამ კარგად იცის, სად დაიბადა და როგორ ვითარდებოდა „მეგრული სეპარატიზმის“ იდეა. მეფის რუსეთის განაფული მოხელეები საქართველოში „კეთილსაიმედო“ პირებზე დაყრდნობით ცდილობდნენ ამ პოლიტიკის განხორციელებას. პოლიტიკაში მიამიტები ნუ ვიქნებთ; აპრობირებული მეთოდები საჭიროებისას არქივიდან ამოაქვთ და აამოძრავებენ. დღევანდელ სიტუაციაში ეს მანქანა კარგად იმუშავებს, რადგანაც „კაბადონის“ რედაქციის მუშაკების, ასევე მათი მფარველების სახით, დაინტერესებული შესაძლოა „მეგრული სეპარატიზმის“ გამოვლენებელთა ფუნქციების უყოყმანოდ შემსრულებლები შეიძინონ.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში ამ ბოლო დღეებში ჩატარებულ მიტინგებზე „აქტუალურად“ განიხილებოდა ჩემს მიერ „მეგრული სეპარატიზმის“ გაღვივების სტრატეგიის საკითხები. რა თქმა უნდა, ჩემი პოზიცია ისე დაამახინჯეს, როგორც ხელს აძლევდათ, ეს ზემოთ მოგახსენეთ. ასე, ამ მეთოდებით ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მზარდაჭერას— რას იზამ, ცნობილი ხერხი ყველა ხელსაყრელ სიტუაციაში გამოიყენება. მაგრამ მე მაინც მწამს — ხალხი ყველაფერს სწორად გაიგებს. საბოლოოდ მას მივანდოთ მტყუან-მართლის გარჩევა.

რამდენადაც „მეგრულ სეპარატიზმს“ შევეხე, საჭიროდ ვთვლი ისიც ვთქვა, რომ გასულ წელს, 3 ნოემბრის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ბატონ ზვიად გამსახურდიას სტატია „სამეგრელოს საკითხი“. იგი წერდა, რომ „სამეგრელოს ეგზურსგადაღმა ნაწილში, სამურზაყანოში, მეგრელთა შორის უკვე შეინიშნება დაბნეულობა და უკმაყოფილება, **რაც შეიძლება მეგრულ სეპარატიზმში გადაიზარდოს**, (ხაზგასმა ჩვენია), რაც საბოლოო ლახვარი იქნება საქართველოსათვის“. არც მაშინ, როცა ეს სტრიქონები წავიკითხე, არც ახლა ასეთი „პერსპექტივის“ არ მჯერა, არც დავიჯერებ.

„მეგრული სეპარატიზმი“ („მეგრელთა ჯგუფი“) არ არსებობდა და არც იარსებებს. იგი თავის დროზე დასჭირდათ და შეეცადნენ მითები შეექმნათ მზაკვრული პოლიტიკის გამტარებელთ და ძირითადად არა „მეგრული წარმოშობის“ „ინფორმაციებზე“ დაყრდნობით. ესეც, სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიაა.

მთავრობის თავმჯდომარემ პირდაპირ და პატიოსნად თქვა ის, რაც ხელს შეუშლის საქართველოს სიმტკიცეს და ძლიერებას: თუ დროულად არ აღვკვეთეთ „შადმანიზმით“ დაავადება, თუ ნინ არ აღვუდექით რეგიონების განთვითეულებას, ვშიშობ, ამჟამად ცალკეული პარტიების მიერ შემოთავაზებული პროგრამების პრაქტიკულ რეალიზაციას მომავალში საქართველოს სამთავროებად დაყოფა არ მოყვეს. უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა შევიცნოთ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული ქვეყნის სულიერი სიმტკიცის, ორგანიზების მთავარი პრინციპებისა და საფუძვლების საიდუმლოება.

— თქვენ საზოგადოებრივ აზრს არ უწევთ ანგარიშს? ზოგიერთი ხომ არ იხიარებს თქვენს მოსაზრებებს?

— მე ჩემი პოზიცია გამოვხატე. ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს ყოველთვის უნდა გაუწიო ანგარიში, ჭარბს — არა, თუმცა ისინი უფრო სწრაფად ვრცელდება, მაგრამ რეალურ ძალად გადაქცევა არ უწერია. დრო გვიკარნახებს პროცესების განვითარებას, საზოგადოებრივი ცხოვრების კატაკლიზმების შედეგად იცვლება შეფასების კრიტერიუმებიც.

უნივერსალურია მხოლოდ ერთი ცნება — სიმართლე. მართალი უნდა იყო. მაშინ გაუძლებ დროის დაწოლას. მთავარია გჯერდეს, რომ მართალი ხარ ხალხის წინაშე, საკუთარი სინდისის წინაშე. ხალხი ყველაფერს გაპატიებს, გარდა ერთისა — არაკაცობისა. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, ვიმეორებ, დრომ შეაფასოს მეთქი.

ეროვნული მოძრაობის შესახებ. მრავალგზის მითქვამს და ვიმეორებ — მას ყოველმხრივ მხარი უნდა დავუჭიროთ. ნუ აკყვეთით ემოციებს, მიკერძოებულ აზრებს. ეროვნული მოძრაობის დიდ პროცესში ყველა ვართ ჩართული, ამჟამად არსებული სახელმწიფოებრივი სტრუქტურებიც. ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ეტაპზე საკუთარი ამოცანები დგას. დღევანდელ ეტაპზე, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა რეალური ხდება, მთავარია მზად ვიყოთ დემოკრატიული, სამართლებრივი საქართველოს შექმნისათვის. ეს გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ამოცანა, თუნდაც ისტორიულს რანგში აყვანილი.

დამოუკიდებელი საქართველო მე ისე, როგორც ყველას, მხოლოდ დემოკრატიული მინდა იყოს, ნებისმიერი პარტიის, პიროვნების დიქტატისაგან თავისუფალი.

საქართველოს მე ვხედავ, როგორც მაღალზნეობრივ, ქართული კაცის ფენომენის სწორად გაგებულ და შესაბამისი პერიოდის მორგებულ მოდელზე დაფუძნებულ, საერთოდ — ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური სტრუქტურების ერთობლიობას, რომელსაც სათავეში უდგაზ ბრძენი პარლამენტი. აქვე ისიც მინდა გავიმეორო, რომ თუ შესაბამის სტრუქტურებს საფუძვლად არ დაედო ქართველი კაცის ფენომენის (მისი თვისებების) სწორად გაგება, ძლიერი, ცივილიზებული საქართველო არ გვექნება (ისტორიას გადავხედოთ: შესაბამის დროსა და სივრცეში ასეთი იყო მხოლოდ დავით აღმაშენებლის საქართველო). სამწუხაროდ, ამ უნიკალურ გზამოცდილებას ცუდად ვიყენებთ.

— ბატონო ნოდარ! ის, რაც ახლა ბრძანეთ, თქვენი საარჩევნო პროგრამა ხომ არ არის?

— ალბათ ნაწილია. ძირითადი, პრინციპული ნაწილი.

— რახან არჩევნებზე ჩამოვარდა სიტყვა, თქვენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს?

— ჩემი ღრმა რწმენით, ჯანსაღი ძალები გაიმარჯვებენ. მათ რთული ამოცანა დაეკისრებათ — დემოკრატიული საქართველოს შექმნა-ფორმირება. მე სესიაზე ვთქვი, რომ ძალიან მალე ბრძენი პარლამენტი გვეყოლება. ეს ოპტიმიზმი სწორ ანგარიშზეა დაფუძნებული.

— ქართველი კაცის ფენომენის გაგებაზე?

— დიახ, ნაწილობრივ. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ ფენომენის არსის სრული ახსნა, ყოველმხრივ გაანალიზება

საერისკაცო კლუბი

ასეთი კომენტარი გაუკეთა ბეგრა უცხოურმა გაზეთმა პროგრამას, რომელიც 5 სექტემბერს გამოაქვეყნა გაზეთმა „იზვესტიამ“ სათაურით „ადამიანი, თავისუფლება, ბაზარი“.

დიდებულია! უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენმა მთავრობამ საბოლოოდ გადაწყვიტა შემობრუნდეს ადამიანისაკენ, მიანიჭოს მას სანატრელი თავისუფლება და გზა გაუხსნას ისეთ ეკონომიკას, რომელიც მოკლე ხანში აყვავებას გვპირდება. მართალია, პროგრამის შინაარსი ჯერ ცნობილი არ არის (ამბობენ რამდენიმე ასეული გვერდიაო), მაგრამ ავტორებმა ჩამოაყალიბეს მისი ძირითადი დებულებები ხსენებულ წერილში ქვესათაურით: „ეს პროგრამის შესახებ, რომელიც შეიმუშავა ჯგუფმა აკადემიკოს ს. ს. შატალინის ხელმძღვანელობით.

სამე ეხება პროგრამას, რომელიც საპრეზიდენტო საბჭოს კომისიამ შეადგინა მ. გორბაჩოვისა და ბ. ელცინის შეთანხმების საფუძველზე (მას გორბაჩოვ-ელცინის პროგრამასაც უწოდებენ). კომისიას ხელთ ჰქონდა ეკონომიკური რეფორმებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც თავის დროზე მკაცრად იყო გაკრიტიკებული (ე. წ. მთავრობისეული ვარიანტები) და ალტერნატიული ვარიანტები, რომელიც თავის მხრივ გააანალიზა აკადემიკოს ა. აგანბეგიანის კომისიამ.

გორბაჩოვ-ელცინის კომისია აკადემიკოს ს. შატალინის ხელმძღვანელობით აგვისტოს პირველ რიცხვებში „არხანგელსკოის“ დასასვენებელ სახლში შეუდგა რადიკალური რეფორმების პროგრამის შედგენას, რისთვისაც მიცემული ჰქონდა ერთთვიანი ვადა ე. ი. 1 სექტემბრისათვის უნდა წარმოდგენილ ყოფილიყო პროექტი. ხოლო მეორე მთავრობისეული კომისია მუშაობას განაგრძობდა საბაზრო ეკონომიკაზე უფრო ხანგრძლივი და თანდათანობითი გადასვლის მთავრობისეულ პროგრამაზე, რომელმაც ამჯერად ბინა დაიდო სანატორიუმ „სოსნაში“, მოსკოვის გარეუბანში. როგორც ჩანს, ორივე კომისია თავიანთი პროგრამების ვარიანტებით წარსდგებიან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მორიგ სესიაზე.

ჯერჯერობით ხელთ გვაქვს აკადემიკოს ს. შატალინის პროგრამის ძირითადი დებულებები, რომლის რეალიზაცია განზრახულია 500 დღეში რამდენიმე ეტაპად. პირველი 100 დღე მოიცავს განსაკუთრებულ ღონისძიებებს, კომისიისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრ შემცირებას, სამომხმარებლო ბაზრზე წონასწორობის აღდგენას და სხვა. მეორე ეტაპზე ერთი წლის განმავლობაში განხორციელდება მსხვილი საბიუჯეტო პროგრამების და საკავშირო აპარატის ხარჯების შემცირება, დაიწყება მიწის ნაკვეთების გაყიდვა და სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, ფასების რეფორმა, საფინანსო-საკრედიტო სისტემის გარდაქმნა და სხვა ღონისძიებანი. 500 დღე, როგორც ვარაუდობს კომისია და კორესპონდენტთან საუბარში რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ფილიშინმა განაცხადა, საკმარისი დროა ეკონომიკური აღორძინებისათვის, რას ეყრდნობა ასეთი ოპტიმიზმი?

ს. შატალინის პროგრამა, რომელიც მისმა კომისიამ ერთ თვეში შეადგინა და განხილული იქნა საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე, როგორც პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა ტელე-ინტერვიუში აღნიშნა, დამაკმაყოფილებელია და მცირე შენიშვნების მიხედვით ჩასწორებული წარედგინება უზენაეს საბჭოს. თუ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ამას კომისია და რაც მთავარია პრეზიდენტი გულისხმობს, მართლაც მოხდება სენსაცია, ისტორიულად უპრეცედენტო მოვლენა, ღრმა ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყანა გამოყვანილი იქნება მძიმე მდგომარეობიდან ფაქტობრივად წელიწადნახევრით — ფანტასტიკურად მოკლე პერიოდში. ასეთი ოპტიმალური პროგრამის რეალიზაცია ვერ შესძლო ვერცერთმა ქვეყანამ, ისეთებმაც კი, რომლებსაც გაცილებით უკეთესი სასტარტო მდგომარეობა ჰქონდა. ძალიან მინდა დავუჯერო აკადემიკოსს დაპირებებს, ამიტომ გულდასმით გავეცანი მის პუბლიკაციას „ადამიანი, თავისუფლება, ბაზარი“ და მინდა მკითხველს ჩემი შთაბეჭდილება გაზიარო.

მართალია, კომისიის წევრები (ეს ძირითადად ფუნქციონერი აკადემიკოსები და პროფესორებია) წინასწარ გვაფრთხილებენ, რომ მათი მუშაობის დრო ერთი თვით იყო შეზღუდული და მნიშვნელოვანი ინფორმაციის უქონლობის გამო ამ პერიოდში მეტის გაკეთება ვერ მოვახერხეთო, ჩვენი აზრით თავმდაბლობის ჟესტად უნდა მივიღოთ, რადგან დასკვნები მაინც ოპტიმისტურია. განვიხილოთ თანამიმდევრულად.

პუბლიკაცია იწყება სიტყვებით: ეს პროგრამა შესაძლებელი იყო გაჩენილიყო გარდაქმნის პირობებში და მოლიანად თავსდება იმ პოლიტიკის კალაპოტში, რომელიც 1985 წელს დაიწყო მ. ს. გორბაჩოვი და ბ. ნ. ელცინი გამოიდნენენ მისი მომზადების ინიციატორებად. ეს საგარანტიო გაფრთხილება უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ პროგრამის ავტორებს რამდენიმე სიტყვით მაინც აღენიშნათ, რა მოგვცა გარდაქმნის კალაპოტში მავალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც თითქოს და საიმედო გარანტიას იძლევა ასეთი პროგრამის შედგენისათვის. ამ მხრივ მინდა შევახსენო მკითხველს ზუთწლიანი მართთონული გარდაქმნების შედეგები, მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემების მიხედვით, რომელიც ამასწინათ გამოაქვეყნა სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა შემდეგი სათაურით — „ქვეყნის სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნა და სოციალური ორიენტაციის გაძლიერება გრძელდება, ეკონომიკის გაჯანსაღება ჯერჯერობით არ მომხდარა, მის განვითარებაში კრიზისული მოვლენები გაძლიერდა“. ამას ადასტურებს მოყვანილი ციფრებიც (თუ იგი, სტატისტიკამ, როგორც ყოველთვის „რამდენადმე“ არ შეალამაზა).

მიმდინარე წლის ექვს თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთობლივი ეროვნული პროდუქტი შემცირდა ერთი პროცენტით, წარმოებული ეროვნული შემოსავალი 2 პროცენტით, ხოლო საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 1,5 პროცენტით. სახელმწიფოს საშინაო ვალებმა პირველი იანვრისათვის შეადგინა 450 მილიარდი მანეთი, ღრმავდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაციური პროცესები, კორუპცია და სხვა ნეგატიური პროცესები. ერთი სიტყვით, სტატისტიკური ცნობის მიხედვით აშკარაა, რომ კრიზისული მდგომარეობიდან ეკონომიკა რეგვევასა და დეგრადაციის პროცესში გადაიზარდა, დეფორმირებულია საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო. ასეთია კალაპოტი, რომლითაც ჩვენი ეკონომიკა მოძრაობს და ახლო მომავალშიც ვერაფერს სასიკეთოს გვპირდება. ამიტომ ისმება სავსებით კანონზომიერი კითხვა, რამდენად მიზანშეწონილი იქნება მოსალოდნელი რეფორმების კვლავ იმავე კალაპოტში მოქცევა?

არის მეორე კითხვაც, რომელიც კომისიას როგორც ჩანს გამორჩა. რამდენად შეესატყვისება წინამდებარე პროგრამა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როდესაც ფედერაციაში შემავალი თითქმის ყველა რესპუბლიკა დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, რაც ახლო მომავალში აუცილებლად გამოიწვევს ფედერაციული კავშირის, როგორც უნიტარული სახელმწიფო სისტემის დაშლას. არ მგონია კომისიაში შემავალმა აკადემიკოსმა მაინც არ იცოდეს, რომ **ერთიანი ბაზარი და საბაზრო ეკონომიკა შესაძლებელია შეიქმნას მხოლოდ უნიტარულ სახელმწიფოში.** გამოდის, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ უნიტარული სახელმწიფო იქნება და რესპუბლიკებისათვის დამოუკიდებლობა (მით უფრო ეროვნული საბაზრო მექანიზმი) მხოლოდ დაპირებად დარჩება. ჩემი აზრით, სანამ პროგრამების შედგენას (უკვე რამდენი ვარიანტია შედგენილი) დავიწყებდით, უმჯობესი იყო ის პრინციპული საკითხი დაგვეზუსტებინა, თუ როგორ დამოუკიდებლობას გვპირდება პრეზიდენტი, ნამდვილს თუ ძველებურს. თუ რესპუბლიკებს ნამდვილ დამოუკიდებლობას აღმაფრენა, „იბო კი უკან კაპიტალიზმისაკენ მიბობლავს, ხოლო ქარიოლაპია ცდილობს, რაც შეიძლება ღრმად ჩაყვინთოს. კარგი შედარებაა, უკეთესად ვერ იტყვი.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მომხრეებს ავიწყდებათ. სახელდობრ ის, რომ ეკონომიკის საბაზრო მექანიზმზე გადაყვანისათვის პროგრამები, კონცეფციები და მით უფრო მთავრობის ნებართვა კი არ არის საკმარისი, არამედ საჭიროა შესაფერისი პირობების შექმნა. რას ვგულისხმობთ ძირითად პირობებში: არსებულ ფედერაციული კავშირის დაშლას, წარმოებითი ურთიერთობების შეცვლას, კერძო საკუთრებისა და კერძო ინიციატივის სრულ რეაბილიტაციას, სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაციას, სამეურნეო სისტემის დემოკრატიზაციას, საფინანსო-საკრედიტო და ფულის მიმოქცევის სისტემის გარდაქმნას, კონკურენციას და თავისუფალ ფასწარმოქმნის მექანიზმს. როდესაც პროგრამის შინაარსს ეცნობით, გრძნობთ, რომ ავტორებს სურთ ამ საკითხების მოგვარება, მაგრამ უჭირთ მაღალი სოციალისტური იდეალებიდან გადახვევა, იმის აღიარება, რომ საბაზრო ეკონომიკამ გამოცდა გაიარა ე. წ. კაპიტალისტურ ქვეყნებში და შვიდი ათეული წლის შემდეგ მასობრივად დავიწყოთ იდეოლოგიური კომპრომისი, იმ სისტემის აღდგენა, რომლებსაც სამოცდაათი წლის მანძილზე ასე ენერგიულად ვაძაგებდით და ვანადგურებდით.

ამის მაგალითია ხელოვნური ცნებები და შენიღბული, მრავალაზროვანი ლოზუნგები, რომლებიც მხოლოდ ილუზიას ქმნის და ფაქტიურად არ თავალისწინებს რადიკალურ გარდაქმნებს. მაგალითად: ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმი, რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა, განსახლმწიფოებრიობა, პრივატიზაცია და სხვა.

სოციალიზმი მსოფლიო იდეალია და არა მარქსიზმის მონოპოლია. კაცობრობას კარგად აქვს გარკვეული მისი შინაარსი და ნიშნები. ჩვენ კი ვცდილობთ ხელოვნურად „გავამდიდროთ“ იგი განვითარებული, რეალური, ეხლა კი ჰუმანური სოციალიზმის სახით. იმის კითხვა, თუ სოციალიზმი თავისთავად ჰუმანური და დემოკრატიული არ არის, მაშინ რაღაა იგი, ან შეიძლება ეწოდოს ისეთ სისტემას სოციალისტური, თუ მას ჰუმანიზმი და დემოკრატიულობა ფო მონოპოლიური საკუთრების სისტემასთან. ჩვენი აზრით, ესეც ღრმა დაბნეულობას უნდა მივაწეროთ. ერთი შეხედვით, მართლაც შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი მსგავსება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, გარეგნულად, სინამდვილეში კი მდგომარეობა სულ სხვაგვარია. შერეული ეკონომიკის პირობებში, სადაც დომინირებულია საბაზრო ურთიერთობები, პირიქით, სახელმწიფო სექტორი განიცდის საბაზრო მექანიზმის გავლენას, მონაწილეობს კონკურენციაში, თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემაში და სხვა. განსაკუთრებით წარმოების საწყის და საბოლოო ფაზაში, ნედლეულისა და სხვა რესურსების შეძენის, აგრეთვე, მზა პროდუქციის რეალიზაციის დროს. სახელმწიფო დაკვეთაც კი ხშირად ყიდვა-გაყიდვის ობიექტია. ამასთან თუ ეს დაკვეთა სხვადასხვა მოსაზრებით ფირმებისათვის მიუღებელია, ყოველთვის შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე. ფირმების უმრავლესობა, „ყველაფერი“ საწარმოებია, სადაც აქციების საკუთრებაზე არავითარი ზეზღუდვები არ არის. ჩვენთან კი საკმაო საწარმოებში კანონის მიხედვით აქციების საკონტროლო პაკეტი (50 პროცენტზე მეტი) სახელმწიფო საკუთრებად რჩება ე. ი. მთავრობის ინიციატივით ხდება მხოლოდ ნაწილობრივი „პრივატიზაცია“, რაც, ჩვენი აზრით, საწარმოთა დამოუკიდებლობის გაძლიერების თვალსაზრისით არსებითი ხასიათის ცვლილებებს არ გამოიწვევს. სახელმწიფო კვლავ ძველებურად კარნახობს თავის პირობებს. ესე იგი იცვლება მხოლოდ ფასადი, კონსტრუქცია კი ურყევია. იქმნება პარადოქსული სიტუაცია, როდესაც ლოზუნგების ცვლა ავტომატურად არ იწვევს ცვლილებებს ეკონომიკაში. განა წარსულში ამის მაგალითები ცოტა გვქონდა?

იგივე ითქმის სახელმწიფოს ინიციატივით შექმნილი შრომითი კოლექტივების ჯგუფური საკუთრების შესახებ. სქემით: სახელმწიფო — შრომითი კოლექტივი — განა ძველებურად არ იგულისხმება რადიკალური რეფორმები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის არის აუცილებელი? ვერ დავიჯერებ, აკადემიკოსი ვერ ხვდებოდეს, რომ საქმე პოლიტიკური ლოზუნგების ცვლასთან გვაქვს, ეკონომიკა კი წარსულში გატეკნილი გზით მიდის. მაგრამ საით? პროგრამის ძირითად დებულებებში არსად ჩანს ერთი ჯერ კიდევ არ იცის ეს ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

ახალი სასწავლო წლის წინ

17 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი იწყება ჩვენს რესპუბლიკაში. ამჯერად, სამნუხაროდ, ბევრად მცირეა სასკოლო ახალმშენებლობათა რიცხვი. ! ორი სოფლის სკოლის მშენებლობაზე შექმნილ ვითარებას ასახავს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის წერილი.

სამტრედიისა და ხონის რაიონებში მიმდინარე სასწავლო წლისათვის ახლოლად თითო — მელაურის ნინოშვილის უბნისა და კოზტუათის დაწყებითი სკოლების მშენებლობათა დამთავრება არის გათვალისწინებული (მშენებელი ორგანიზაცია „საქგრომშენის“ რესპუბლიკური გაერთიანების სამტრედიის №2 საერთო სამშენებლო ტრესტის სამტრედიის №25 და ხონის №41 მოძრავი მექანიზებული კოლონები. უფროსები: გიორგი რევაშვილი და ალექსანდრე მანკვალაძე). ორივე სკოლა ერთსართული ტიპიური პროექტით იგება —. 216 მოსწავლეზე და თითოეული მათგანის საერთო ღირებულება 728.600 მანეთს შეადგენს, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება 541.440 მანეთია. ამ დღეებში, როცა ეს მშენებლობანი მოვნახულეთ, აღნიშნული თანხიდან მელაურის სკოლის მშენებლობაზე შესრულებული იყო 310.000 მანეთის სამუშაო, ხოლო კოზტუათისაზე — 330 ათასი მანეთისა.

როგორც ბეჭდავთ, გარდა პროექტის ტიპიურობისა, ამ ორ მშენებლობას აქვს კიდევ ერთი მსგავსება: სამუშაოთა თითქმის ერთნაირი, ძალზე ნელი ტემპი. მშენებლობებზე შექმნილი მდგომარეობის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ასეთი მკვეთრი ჩამორჩენის მიზეზებს მთლად მშენებლებს ვერ დავაბრალებთ: მათ მიმდინარე წლის 7 თვეში დიდძალი სამშენებლო მასალა დააკლეს. ტრესტის სისტემის ორგანიზაციებმა განვლილ პერიოდში ვერ მიიღეს რკინა-ბეტონის კონსტრუქციები 2500 კუბური მეტრი, არმატურის რკინა 320 ტონა, მრგვალი მორი — 2400 კუბური მეტრი, შიფერი 55.000 ცალი, ცემენტი — 1150 ტონა.

მელაურის ნინოშვილის უბნის დაწყებითი სკოლის შენობის ასაგებად, მართლაც რომ, კარგი ადგილი შეურჩეიათ. ეზოში შემორჩენილი სხვადასხვა ჯიშის ტანმაღალი, ასაკოვანი ხეები გაფიქრებინებს, რომ ერთ დროს ამ ადგილს მზრუნველი პატრონი ჰყოლია. ასეც გვითხრეს — თავად მიქელაძის ნაფუძარიაო ეს ეზოგარეშო. თუ პროექტის სრულყოფილებასაც გავთვალისწინებთ, ალბათ, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ ყველაფერი ეს, ერთ კომპლექსშია მოქცეული, — ამ უბნის მშვენებად იქცევა, მაგრამ საკითხავი ამ საშუალებებითა და ტემპით — როდის?

სკოლის ძირითადი კორპუსის ნაწილი, სპორტდარბაზისა და საადგილოს შენობა, ასევე კონტუათის სკოლის სასწავლო კორპუსი უკვე ერთი თვეა გადასახურავადაა მზად, შიფერის უქონლობის გამო კი სამუშაოები შეჩერებულია და კოშკურა ამწე ორთავ ობიექტზე უმოქმედოდ დგას. მართლაც, აღნიშნული მასალის ძირითადი ნაწილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთან უნდა შემოდიოდეს, მაგრამ აბა ამას რა გამართლება აქვს, რომ კონტუათის სკოლის მშენებლობაზე სამტრედიის კომბინატ-კომბინატის სამმართველოდან სახურავის მოსალარტყად მიტანილი მასალა იმდენად სცილდება სათანადო სტანდარტებს, რომ მისი ამ დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელია? ძველი წელიწადი, ტრესტსა და შესაბამის სამმართველოებს ქუთაისის ბაზიდან არ მიუღიათ ლითონი არმატურისათვის. ასევე დიდი ოდენობით აკლიათ რკინა-ბეტონის ღრუტანიანი გადახურვის ფილები, რომელსაც აგრომშენის „საქსოფლმშენნდუსტრიის“ ქარხნები ამზადებენ (და, სხვათა შორის, საკმაოდ უხარისხოდაც, რადგან მანქანებიდან ჩამოცლისას წელში გატეხილი ეს ფილები ადგილზეც გამოუსადეგარად ყრია...).

სამშენებლო მასალების უხარისხობაში არც სამტრედიის საშენი მასალებისა და ხონის ადგილობრივი მრეწველობის საავტო სამეურნეოებს ჩამორჩებიან. მართალია, მათ მშენებლები საკედლე ბლოკების შუალედების შესავსებად იყენებენ, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რა დროს ართმევენ ხელოსანს ნატეხებისაგან ამ ხვრელების ამოვსება, როგორ ძვირდება მისი თვითღირებულება.

თუ რეალისტები ვიქნებით, უნდა ვივაღიაროთ, რომ წლის ბოლომდე სკოლების მშენებლობის დამთავრების ყოველგვარი იმედი გადაწურულია. მშენებლებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ ახალი სკოლები ადრე ჩაბარდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ სკოლების მოლოდინში, ნინოშვილის უბნის სკოლის ძველი შენობა აღარ შეუკეთებიათ და ამ ძველისძველი შენობის იატაკის ნაწილი სადაცაა ჩაინგრევა. ფანჯრები ჩამტვრეულია, სასკოლო ინვენტარი ძალზე დაზიანებული, სახურავიდან წვიმა ჩამოდის... ცხადია, ასეთ პირობებში სწავლის დაწყება შეუძლებელია.

იმ დღისათვის პირველ კლასში მიღებაზე სკოლაში ჯერჯერობით 25 მოსწავლის მშობლის განცხადება იყო შემოსული, რაც ცასეული წლის ოდენობას გაცილებით სჭარბობს; შეიძლება ამ რიცხვმა კიდევ მოიმატოს. ისიც საგულისხმოა, რომ ბევრი ამ სასწავლებელში შვილის შეყვანაზე თავს იკავებს, თორემ შეიძლება ორი პირველი კლასიც კი გახსნილიყო, რადგან იგი მარტო ნინოშვილის უბანს კი არა, იქვე მიმდებარე დაბა კულაშის, სოფელ მიწაბოგირას, ჭაგნის მოსახლეობის ნაწილსაც მოემსახურება და ამ დასახლების ბავშვებს რამდენიმე კილომეტრით შეუმცირებს სკოლაში სავალ ნაწილს. მოვლენებს თუ გავუსწრებთ, სკოლის მოსწავლეთა ამჟამინდელი კონტინგენტითა და შემდგომი პერსპექტივით აქ მომავალში საშუალო სკოლის გახსნაზედაც კი შეიძლება ფიქრი.

... უკეთეს პირობებში არც კონტუათელი მოსწავლეები არიან. რაიონის ხელმძღვანელობას ისინი დროებით სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და ბაგა-ბაღის შენობაში მოუთავსებიათ, რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ.

რას ფიქრობენ არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად? ამ კითხვაზე სამმართველოების ხელმძღვანელებმა გიორგი რევაშვილმა და ალექსანდრე მანჯგალაძემ გვიპასუხეს:

ჩვენი სამშენებლო მასალებით დროულად მომარაგების საკითხი ყოველთვის პრობლემა იყო და ასეთად რჩება. მდგომარეობა განსაკუთრებით შარშან და წელს გაუარესდა. თუ ასე გაგრძელდა ალბათ, ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია თუ ბაზა იძულებული გახდება არსებობა შეწყვიტოს. საათები რაა, ზოგჯერ მთელი კვირა გვიხდება კვალიფიციური მუშა-ხელის მოცდენა. სამშენებლო კოოპერატივებმა ხომ სულ წაგვლეკა. იქ, მოგეხსენებათ, თავის საქმეს სხვისი კარნახის გარეშე განაგებენ, მუშებსაც ხელფასს ორმაგად უხდიან, სამშენებლო მასალებსაც უფრო იოლად შოულობენ (?!). როგორ გგონიათ, ჩვენ რომ ასეთი დამოუკიდებელი მოქმედების უფლება გვქონდეს, ისინი გვაჯობებენ?

კეთილი ინებე და ერთ დროს დაკანონებულ ნორმებში ჩაეტიეო. რანაირად, რა საშუალებით? თავად დაფიქრდით, ერთი კვადრატული მეტრი კედლის ლესვაზე სახელმწიფო ნორმით მუშას 60 კაპიკი უნდა გადავუხადოთ, ამდენივე ფართის აგურის წყობაზე 7 მანეთი და 22 კაპიკი. ჩვენ კი (აქ ციფრის დასახელებისაგან ორთავე მხარემ თავი შეიკავა) თავი ყულფში გვაქვს გაყოფილი. ამაზე კაცი არ ფიქრობს და პასუხსაც ვერავინ გაგვცემს, ამიტომაა, რომ კვალიფიციური მუშახელი გაგვიმეს, თვით მასალებს ხარისხი კი, რაცაა, თავად ხედავთ.

ცალკე ფინანსური სიძნელეები გვაწუხებს. დამკვეთი ფულს გვიხდის შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით, ხოლო მომმარაგებელ ორგანიზაციის მასალების ღირებულება წინასწარ უნდა გადავუხადოთ, ამის საშუალება კი არა გვაქვს. ამას ისიც ემატება, რომ საწყავ-საცხები მასალების უქონლობის გამო ჩვენი მექანიზმები და ტრანსპორტი სანახევროდ დგას.

როგორც მკითხველი ხედავს, ამ პასუხში ახალი და უცხო არაფერია. განა შეიძლება ასეთი მომარაგებისას სკოლის მშენებლობის დამთავრების კონკრეტულ ვადებზე რაიმე გვითხრან? არადა, ასე როდემდე, უნდა გაგრძელდეს...

ბორის ფოცხვერაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

RODIS ASHENDEBA SKOLA?

ამაზე კონკრეტულ პასუხს ვერავინ გაგცემთ

ჩემი ხნის მოიყარენით, შვილებო!

მინდა მოგითხროთ 110 წლის ეკატერინე ივანეს ასულ ნასარიძე-რობაქიძეზე. იგი დაბადა 1881 წელს სოფელ ღვანკოში თერჯოლის (ყოფილი ჩხარის) რაიონში. 40 წლისა დაქვრივდა და ექვსი შვილი შერჩა. ექვსივე უმამოდ აღზარდა და დაამინავა თავიანთი ოჯახებში. ახლა ორიოდ ბიჭს ცოცხალი. მეოთხე მოდგმის მოესწრო ქალბატონი ეკატერინე; 66 შთამომავალი ახვევია გარს.

— ჩემს თავზე წინაქვეყნის ქვა არ დაბრუნებულა თორემ, ვინ იცის, რამდენი ტანჯვა-წამება და უბედურება გადამეტანია, — თქვა ჩვენთან საუბრისას ქალბატონმა ეკატერინემ, — კოლმეურნეობაში ვმუშაობდი თოხით, ბარით, ჯაღნიდი ჩალას, ვდგამდი ზვინებს. ჩალისა და სოიის ზვინებს ჩემსავით მამაკაცებიც ვერ დგამდნენ, ამიტომ სულ მე მამუშავებდნენ.

ამ სამი-ოთხი წლის წინათ კიდევ მომდევდა ჯანი და კვლავაც ვმუშაობდი, ამიტომ 70 მანეთი დამენიშნა საკოლმეურნეო პენსია.

ქალბატონი ეკატერინე კვლავაც მხნედ დაფუსფუსებს ეზოში. ეზო ისეა დახუფთავებული, ნემსი არ დაიკარგება. ძალიან საღი გონება აქვს, არაფერი ავიწყდება, ადვილად იგონებს წარსული წლების ამბებს, მისი ავადმყოფობა არავის გაუგონია.

— ჩემი ხნისა მოიყარენით, შვილებო! — ილოცება ამაგდარი ეკატერინე.

ივანე გაგაშელაშვილი,
შრომის ვეტერანი.

გატაცებათა სამყაროში

KAQTUSEBI MSOFLIOS YVELA KUTXIDAN

აი, უკვე მრავალი წელია მარგარიტა გენინგი აგროვებს და ზრდის ეგზოტიკურ მცენარეებს. დღეს მის კოლექციაში 1200-ზე მეტი სახეობის კაქტუსი და სუკულენტია. თუ კაქტუსი ცნობილია ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია ფლორით, ალბათ, ბევრმა არ იცის, თუ რა არის სუკულენტი — ეს არის მცენარე, რომელიც იწოვს ტენს და ქმნის მის მარაგს.

კიდევ ბევრ საინტერესო რამეს შევიტყობთ, თუ კოლექციონერის ბინას ვეწვევით, განსაკუთრებით კაქტუსებზე. აქ არის ისეთი მცენარეებიც, რომლებიც ხარობენ სამხრეთ ამერიკის მდინარეების ჭალებში, კორდილიერის მთებში, გვატემალის თიხიან უდაბნოებში და მექსიკის ზეგანზე, მდინარე ამაზონის შესართავთან და კანადის ცივ ველებში... მათი თითქმის ნახევარი შეტანილია წითელ წიგნში. აქ შეხვდებით ფლორის ისეთ წარმომადგენლებსაც, რომლებსაც უკვე ველარ იხილავთ დედამიწის ვერც ერთ კონტინენტზე.

ქალბატონი მარგარიტა და მისი მეუღლე ბატონი იური, რომელიც ეხმარება თავისებური ოჯახური ბოტანიკური ბაღის შექმნაში, საათობით გიამბობენ კაქტუსზე, რომელიც, თურმე, მარტო ლამაზი და კეთილშობილი მცენარე როდია. იგი კარგად ხარობს ყოველგვარ პირობებში, თან ჩინებული სასურსათო პროდუქტია. ცნობილია, მაგალითად, რომ ყველაზე იაფ სპირტს კაქტუსიდან იღებენ.

ძვირფასი მცენარეებით ფარმაცევტებიც დაინტერესდნენ. ზოგიერთი მათგანის ახრით, კაქტუსი შესანიშნავი სამკურნალწამლო საშუალებაა ულულ-სისხლძარღვთა დაავადების სხვადასხვა ანთებითი პროცესის მკურნალობის დროს. იმედის თვალით შეჰყურებენ გამოკვლევის შედეგებს ონკოლოგებიც. მაგრამ არის ერთი ხელისშემშლელი პირობა, კოლექცია ძალზე ვიწროდ გრძნობს თავს, თანაც, არ არის მისი გაფართოებისათვის შესაფერისი პირობები — არ არის ცხელი წყალი, მაშასადამე, შეუძლებელია შეიქმნას ლაბორატორია სამეცნიერო კვლევისათვის. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქალბატონი მარგარიტა ნიქიერი მხატვარია, მაშინ, პირდაპირ საოცარია, თუ როგორ შეიძლება ასეთ პიროვნებში შესანიშნავი ტალოების შექმნაც, რომლებზეც... რასაკვირველია, კაქტუსებიცაა გამოსახული.

გენინგებმა მოახერხეს შეექმნათ ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი კოლექცია. შთაბეჭდილებათა წიგნში ნახავთ ათობით აღფრთოვანებულ გამოხმაურებას. მარგარიტა გენინგს მიენიჭა ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ოქროს მედალი, დიპლომები და სხვა ჯილდოები.

გენადი დიორტაკინი,
ხაჭინფორმის კორ.

• • •

ხურათზე: მარგარიტა გენინგი და მისი ხაოჯახო ბოტანიკური ბაღი.

ბონდო დვალიშვილის ფოტო.
(ხაჭინფორმის ფოტოქრონიკა).

ინთეგრა რამპის ჩირაღდნები

IMEDITI UKETESISA MOMAVLISA

ხვალ, 15 სექტემბერს მიხეილ ჯავახიშვილის „ბედი მდევარით“ („ლამბალო და ყაშა“ მიხედვით) სამოცდამეორე სეზონს ხსნის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ჩვენ გვინდოდა სეზონის წინ გვესაუბრა თეატრის კოლეგიის ხელმძღვანელთან ბატონ თემურ ჩხეიძესთან, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. მისი თავაზიანი ნებართვით სასურველია შეეხებოთ ამავე თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს, ქალბატონ ლია ღლონტს. თეატრალური სეზონის გახსნას ტრადიციულად სიხარულის განწყობილება შეეწინა, მაგრამ ამჯერად ეს არ ხერხდება. დღეს, როცა საქართველო ისტორიული გამოცდისა და გარდატეხის კარიბჭესთან დგას, როცა ყველა რაღაცის მოლოდინით სულდგმულობს, თითქოს ყველაფერმა ინტერესი დაკარგა და მეორე პლანზე გადაიწია. ამ განწყობილებას თეატრი და მისი მოღვაწეები მით უმეტეს ვერ ასცდებიან, თითქოს თეატრის ფერი და მდელო შენელდა, რაზე უნდა ელაპარაკოს თეატრი ადამიანებს, როცა გარეთ საქართველოს მომავალი იქნება? მაგრამ თეატრი ერის სულიერი მესიტყვეა და მან ყველაზე ძნელ დროშიც უნდა იპოვოს საიმისო ძალა, რომ შეგვიძახოს — დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ეროვნული ერთიანობა. გთხოვულობას, შეუწყნარებლობას და ურთიერთდაუნდობლობას არასოდეს მოუტანია სიკეთე. გავუფრთხილდეთ ადამიანის სულს, გადავარჩინოთ იგი!

ჩვენ თეატრის ფოიეში ვისხედით და ვსაუბრობდით. სპეციალური კითხვარი წინასწარ არ შემიდგენია, დროდადრო მხოლოდ იმას ვინიშნავდი, რაც მომავალ სეზონს უკავშირდებოდა.

დავიწყოთ იმით, რომ, მეორე წელია თეატრში არსებობს „ოლეგია, რომელშიც ხუთი წევრია: თემურ ჩხეიძე (ხელმძღვანელი), მედეა კუპუხიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, კოტე მახარაძე და თეატრის დირექტორი გაიოზ კანდელაკი. „ოლეგიის მუშაობამ გამართალი, თურმე. ხუთივე წევრი თანასწორუფლებიანია. საკითხების განხილვა აქ უმეტესად ფარული ელექტესორით ხდება. „ოლეგია პრინციპული საკითხის გადაწყვეტასას სიმტკიცეს და შეუვალობას იჩენს. მაგალითად, თეატრში ბევრი უხერხულობა შექმნა საკავშირო მინისტრთა საბჭოს და კულტურის სამინისტროს ექსპერიმენტმა, რომლის მიხედვით წლის ბოლოს უნდა მომზდარიყო დასის შემადგენლობის ოცი პროცენტის განახლება. ამაზე „ოლეგიამ უარი თქვა.

წლევანდელ სეზონში მაყურებელი პირველ პრემიერად ნახავს გუგა ნახუცრიშვილის „ნაცარქექიას“, რომელიც დადგა რეჟისორმა გიორგი თოდაძემ.

მაგიდასთან მუშაობას შეუდგა რეჟისორი დავთი ანდღულაძე. მან დასადგმელად აირჩია კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ (გაასაცენიერა გოგა ლორთქიფანიძემ).

ამ სეზონში თეატრში შედგება ახალგაზრდა დრამატურგისა და რეჟისორის დებიუტი — გიორგი გამსახურდიას „მუნჯის სიზმრებს“ დგამს რეჟისორი იგორ ფილიეფი.

რეჟისორი მედეა კუპუხიძე, როგორც ყოველთვის, შემოქმედებითი ჩანაფიქრითაა აღსავსე. იგი დაინტერესდა ძველი ქართული საერო მწერლობის ნიმუშით „სიბრძნე ბალავარისა“. მასვე სურს აგატა კრისტის „ხაფანგისა“ და პოლიკარპე კაკაბაძის „მეფე დიმიტრი II“-ის დადგმა.

ამ დღეებში ბატონი თემურ ჩხეიძე ახალ ნაწარმოებზე მუშაობას შეუდგა. ლესნინშნავია ის ფაქტი, რომ მან თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში პირველად მიმართა კომედიას. ეს გახლავთ ამერიკელი დრამატურგის ნილ საიმონის „ბუზნებრივ შეუყვარებული“.

ლილიან ჰელმანის „მელიების“ დადგმა სურს რეჟისორ თემურ აბაშიძეს. თეატრში აპირებენ ალექსანდრე ყაზბეგის პროზის სცენურ ხორცშესხმას, ორი ნაწარმოების „მოძღვრის“ და „განკიცხულის“ ირგვლივ ტრიალებს ფიქრი, რომლის უკეთეს გასცენიერებულ ვარიანტსაც მიიღებს თეატრი, იმიზეა დამყარებული მისი არჩევანი.

დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ზრუნვა აღორძინებისათვის. ერის სულიერი აღზევების საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოების ყველა შეგნებულმა წევრმა, მით უმეტეს ქართულმა თეატრმა. მას ხომ ამ მხრივ ყოველთვის წინამძღოლის მისია ჰქონია, მუდამ წინ მიუძღოდა ერს, ტოტალიტარული რეჟიმის დროს, პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის დანამატად ანასოდეს გადაქცეულა ქართული თეატრი. თვით თემურ ჩხეიძე ჯერ კიდევ როდის ამხელდა ქართველთა მოდუნებას, სულიერ სიზანტეს, ამხლოდ პირადი ინტერესებით ცხოვრებას, ჯერ კიდევ როდის იდგა ის სამრეკლოზე. თავისი „გუშინდელითა“, „ჯაყოს ხიზნებითა“ და „ბაკი აძბათი“ დავიწყებული ეროვნული მეხსიერების, ღირსებისა და თვითშეგნების გამოსაღვიძებლად!

მართლაც დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ეგრძნოთ ქართულ თეატრს მაყურებელთან შეხვედრა, მაგრამ სასოწარკვეთილებას არადა არ უნდა მიეცეს. მე მინდა არჩილ ჯორჯაძის სიტყვები შევახსენო ქართული თეატრის მოღვაწეთ, რწმენით და იმედით შეხედონ თავის თავს და დიდ საქმეში წინ წარიმძღვარონ: „რაც უნდა დიდს გასაჭირში ჩავარდეს ერი, სასოწარკვეთილებას მაინც არ უნდა მიეცეს იგი. მისი სიცოცხლის ყოფნა არ ყოფნა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ჩვენი მოვალეობაა თვით ერში, მის არსებულ ძალთა განწყობილებაში, ვეძიოთ ხსნა და იმედი უკეთესის მომავლისა“.

გიორგი ლალიაშვილი.

წერილი „კომუნისტს“

VIS VICAVTH DA RATOM?!

ჩუგდიდს და სამეგრელოს რეგიონში ბოლო პერიოდში დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლების გაუგონარმა გაქტიურებამ საზოგადოებაში შიშისა და პანიკის ატმოსფერო შექმნა. გახშირდა ყაჩაღობა, ძარცვა, ფულის გაძოძალვა, მკვლელობის ცდები და სიცოცხლისათვის ხაშში სხვა დანაშაულობანი. დაუჯელობისა და ყოველსშემძლეობის ატმოსფეროს ზედაპირზე წამოტივტივა ეგრეთ წოდებული „კანონიერი ქურდები“ და ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი დამნაშავე ელემენტები, რომელთა აღვირახსნილობამ და ცინიკურმა მოქმედებამ შეურაცხყო და აღაშფოთა ზუგდიდისა და მიმდებარე რაიონების მშრომელები და ჭანსაღი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები. დამნაშავეთა კატეგორიის ერთ-ერთ ასეთ წარმომადგენლად ზუგდიდში მოგვეკლინა ძარცვისა და გამოძალვისათვის ნასამართლევი ზ. გაბედავა, რომელმაც მიმდინარე პეროიდში საქართველოს ზოგიერთ რაიონში ჩაიდინა მთელი რიგი მძიმე სახის დანაშაულობანი, რომელთა გამოც მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები. ამჟამად ზ. გაბედავა წინასწარ პატიმრობაშია.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ზ. გაბედავას და მის თანამზრახველთ მხარს უჭერს და მფარველობს ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის გარკვეული ნაწილი, რომლის უხეშმოქმედების უხეშმა ფორმებმა სამართალდამცავ ორგანოებზე შეიძლება გული აუცრუოს მოსახლეობას, დაეჭვოს ეროვნული მოძრაობის გარკვეული პარტიების მიზნებისა და მოქმედების გულწრფელობასა და სიმართლეში.

8 სექტემბერს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ გამართულ მიტინგზე წამოვრილა ზ. გაბედავას განთავისუფლების საკითხი, რამაც გააკვირვა რეგიონის შინაგან საქმეთა განყოფილებების თანამშრომლები, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, გაიფიცნენ ამის გამო, რომ ჩვენი საქმიანობის პრაქტიკაში იყო მილიციაზე ზემოქმედებისა და კანონის უზენაესობის უგულვებელყოფის ფაქტები, რამაც გარკვეულწილად დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებს დაუჯელობისა და ყოველისშემძლეობის რწმენა შეუქმნა.

ყოველივე ამის გამო გაცნობენთ, რომ აქცია, რომელიც მიმდინარეობა ზ. გაბედავასა და მისი თანამზრახველების დასაცავად, აღქმული იქნება რეგიონის მშრომელებისა და მასში შემავალი შინაგან საქმეთა განყოფილებების თანამშრომლების ფაქტად და გამოიწვევს მოსახლეობის ბოიკოტს იმ პიროვნებებისა და პარტიების მიმართ, რომლებიც მფარველობენ ასეთ დანაშაულებს.

მოვითხოვთ, რომ შესაბამისი პარტიების წარმომადგენლებმა პრესისა და ტელევიზიის საშუალებით აუწყონ მოსახლეობას, თუ რა წვლილი მიუძღვით ზ. გაბედავასა და დ. გელაშვილს ეროვნული მოძრაობის წინაშე.

პატივცემულო რედაქციავ! ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ამ წერილს გამოაქვეყნებთ თქვენს გაზეთში.

რეგიონის საბაფცავო კომიტეტის სახელით: თ. ქირია, ი. მესხი, ბ. ფიწავა, რ. ბერიშვილი, დ. სარდია, გ. ალფენიძე (ქ. ზუგდიდი), მ. ჩიქობავა, მ. ჯობავა, რ. ალანია (ხობი), ს. ბესელია, ი. გოგია, ლ. ქავთარაძე, მ. ქავარია (ხენაკი), ბ. ბენდელიანი, თ. მოლაშხია (ფოთი).

SPORTURNIRO ORBITA

ფუალბურთი. გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის თბილისის ქვეჯგუფის პირველი ტურის მოროგი შეხვედრები. ქართველმა სპორტსმენებმა დაამარცხეს შარშანდელი ბრინჯაოს მედლის მფლობელი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი — 12:11 (3:3, 2:1, 5:3, 2:4).

ალმაათელმა წყალბურთელებმა სძლიეს კიეველ სპორტსმენებს — 14:8, ხოლო ხარკოვის „ლოკომოტივმა“ დაამარცხა ვოლგოგრადის „სპარტაკი“ — 19:12.

პირველი ტურის შემდეგ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს გუნდმა დააგროვა 8 ქულა, თბილისის „დინამომ“ — 7, „ლოკომოტივმა“ — 6; ალმა-ათის „დინამომ“ — 5, კიევის „დინამომ“ — 4, ხოლო ვოლგოგრადის „სპარტაკს“ ჯერ არც ერთი ქულა არ მოუპოვებია.

ფეხბურთი. 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების პირველ ტურში ფარერის კუნძულების ნაკრებმა დაამარცხა ავსტრიელი ფეხბურთელები — 1:0. ეს ერთგვარი სენსაციაა, რადგან ფარერის კუნძულების ნაკრებში მოყვარული ფეხბურთელები თამაშობენ.

ეს შეხვედრა შვეიცის ქალაქ ლანდსკრუნაში გაიმართა, რადგან ფარერის კუნძულზე არ აქვთ უეფა-ს სტანდარტების შესატყვისი საფეხბურთო მოედანი.

მე-4 შესარჩევ ჯგუფში ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ ირლანდიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს იუგოსლავმა ფეხბურთელებმა — 2:0. ბურთები პანჩევმა და პროსინეჩკიმ გაიტანეს სტოიკო ვიჩის ზუსტი გადაცემების მეშვეობით.

ასევე ორი მატჩი ჩატარდა მე-2 შესარჩევ ჯგუფში. გლაზგოში შოტლანდიელები მასპინძლობენენრუმინეთის ნაკრებს და გაიმარჯვეს კიდეც — 2:1.

ევნეევაში შვეიცარიის ნაკრებმა, რომელსაც ავარჯიშებს ახალი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი შტილიკე, იოლად დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები 2:0. გოლები გაიტანეს ჰოტიგერმა და ბიკელმა.

„MERSEDESI“ RARAS IZAMS?

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საუკეთესო ფეხბურთელს ლოტარ მათიუსს ამიერიდან აღარ მოუწევს ბრწყინვალე მანქანის „ბმვ-375“-ის მართვა.

გფრ-ს ნაკრების კაპიტანმა ჯერ კიდევ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას განაცხადა, რომ ყველა მარკის ავტომანქანებს შორის უპირატესობას „მერსედესს“ ანიჭებს. ამაზე განაწყენებულმა „ბმვ“-ს ფირმამ, რომელმაც მათიუსს საჩუქრად ამ მარკის მანქანა უძღვნა, გადაწყვეტა უკან დაიბრუნოს თავისი ავტომობილი. რას იზამს „მერსედესი“, უშველის თუ არა მათიუსს?

რედაქტორი
მინდია უგრეხელიძე.

TBILISI

პირველი პროგრამა. 11.55 — გია ყანჩელი — „ნათელი მწუხრი“. ასრულებს მოსკოვის ა. სვეშნიკოვის სახელობის საგუნდო სასწავლებლის ბიჭუნათა გუნდი და ლენინგრადის სახელმწიფო ფილარმონიის აკადემიური სიმფონიური ორკესტრი. 12.30 — „ვრემია“. 13.00 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ძალიან საშიში ამბავი“. 17.15 — მოსწავლეთათვის „თეატრი და ბავშვები“. 18.15 — სასწავლო წლის წინ. 18.45 — „მზეთა ქვეყანა“. გაბრიელ ჯაბუშანური. 20.00 — მოამბე. 20.35 — P. S. 20.55 — რეკლამა. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — „ფილმის შუქ-ჩრდილი“. მხატვრული ფილმი „ჩემი სიხარული“. 23.20 — ახალგაზრდობისათვის. „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ“.

მეორე პროგრამა. 16.00 — მხატვრული ფილმი „ძველი სხვენის საიდუმლოება“. 17.15 — დოკუმენტური ფილმების ეკრანი. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.50 — 21.40 — საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამის გამეორება. 21.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნიჭი“.

MOSKOVI

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი“. 8.35 — მულტფილმი. 8.45 — მხატვრული ტელეფილმი „უთარიღო მოგონებანი“. 10.20 — ეკოლოგიური ბუმერანგი. 11.05 — ირაკლი ანდრონიკოვის ზეპირი მოთხრობები. 11.55 — კონცერტი. 12.30 — „ვრემია“. 17.00, 0.55 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 17.15 — დიალოგი კომპიუტერთან. 18.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 18.30 — ვინ ვინ არის. 19.45 — მულტფილმი. 19.55 — „მონა იზაურა“. IV სერია. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — სსრ კავშირის მთავრობაში. 21.50 — კოლაჟი. 21.55 — „ეს იყო... იყო...“ 22.15 — პრემიერა მხატვრული ტელეფილმისა „კომისარ ამბროზიოს დღეები“. 23.50 — „თვალსაზრისი“. 0.55 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური.

მეორე პროგრამა. 8.15 — „კინომოგზაურთა ალმანახი“. 8.35, 9.35 — ისტორია. V კლასი. 9.05, 10.05 — ინგლისური ენა. 10.35, 11.35 — ლიტერატურა. VI კლასი. 11.05 — „ტელეექო“. 12.05 — მხატვრული ტელეფილმი „ჰარმონია“. 13.00 — ფილმ-კონცერტი. 13.55 — დოკუმენტური ტელეფილმის პრემიერა. 14.25 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „კარინო“. IV სერია. 17.00 — რუსეთის სფსრ ქალაქთა ტელესტუდიები. „ნახვამდის, მთებო“. 17.30 — მულტფილმი. 17.40 — ფილმ-კონცერტი. 18.10 — კოლაჟი. 18.15 — „სპორტი ყველასათვის“. 18.30 — „ვრემია“. 19.00 — ფეხბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. ცსკა — „დნეპრი“. შესვენებისას (19.45) — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 20.50 — კონცერტი. 21.40 — რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს სესიის დღიური. 22.40 — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესია. 23.10 — საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალი „საფეხური პარნასისაკენ“.

ტელევიზია — პარასკევი, 14 სექტემბერი

რამდენიმე წლის წინ თბილისის ზღვის გარშემო შემორტყმულ გორაკთაგან ერთ-ერთ კორტხს თვალს ვერ გაუსწორებდა ადამიანი: მოტტაკლებული ადგილი ფოთლოვანი ლაპლაპებდა სიცხიან დღეს, ზაფხულის თაკარა მზე ხელაღებით ხრეკავდა ირგვლივ ყველაფერს და აქაურობა ეკალ-ბარდების სამფლობელოდ ქცეულიყო.

გაჩნდა ხანი. ერთ დღეს გორაკს უცნობი ადამიანები ეხტუმრნენ, მუშტრის თვალით შეათვალიერეს მიწის თითოეული გოჯი. მერე კი ერთ-ერთმა ჩაილაპარაკა, შრომა უნდა, თორემ აქაურობა წალეტს დიმსგავსებთან აუცილებლად.

მას შემდეგ არ შეწყვეტილა გორაკზე ხმაური — მექანიზაციის გუგუნში ააბმიანა უსატრონობით გათანგული, გაბეზრებული მიწა და როცა იგი ადამიანის ოფლით კარგად გაიღენთა, ნაყ